



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020160934002421

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6794

24 / სექტემბერი / 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადანყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ველისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით, 0,07 ჰა-ზე, 730 000 მ³ ხუთ წელიწადში) მოპოვების (ID-52691) სკრინინგის განცხადებას.

ლიცენზია გაიცემა მინისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე, სამეწარმეო დანიშნულებით გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ველისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფ/კ არჩილ გოგინაშვილის (ს/კ 51.08.57.129) საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე. გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

აღნიშნული ობიექტი დაშორებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დაახლოებით 450 კილომეტრით. არ ფიქსირდება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.


წიალით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, წიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადანყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფ. პაკ. 3 გვ; რუკა 1 გვ.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ნანა ზამთარაძე

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																		
1	წიაღთსარგებლობის ობიექტი - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ველისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება.																		
2	წიაღთსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა																		
2.1	რეგიონი - კახეთი																		
2.2	მუნიციპალიტეტი - გურჯაანი																		
2.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. ველისციხე																		
2.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - ქ. გურჯაანიდან 6-7 კმ.																		
2.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან - აღემატება 10 კილომეტრს																		
2.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. ალაზნის აუზი																		
2.7	წიაღთსარგებლობის ობიექტის კოორდინატები - <div style="display: flex; justify-content: space-around;"> <div style="text-align: center;"> <p>წარმოდგენილი კოორდინატები:</p> <table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>563362</td> <td>4627855</td> </tr> <tr> <td colspan="3">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> </div> <div style="text-align: center;"> <p>დაზუსტებული კოორდინატები:</p> <table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>563361.264</td> <td>4627857.573</td> </tr> <tr> <td colspan="3">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> </div> </div>  <p><i>ადგილზე გადამოწმების საფუძველზე მოხდა წარმოდგენილი კოორდინატების დაზუსტება</i></p>	№	X	Y	1	563362	4627855	WGS 1984			№	X	Y	1	563361.264	4627857.573	WGS 1984		
№	X	Y																	
1	563362	4627855																	
WGS 1984																			
№	X	Y																	
1	563361.264	4627857.573																	
WGS 1984																			
2.8	ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 374 მ.																		
2.9	კლიმატური პირობები - რაიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ ოლქში, რომელიც ხასიათდება ცვალებადი კონტინენტური კლიმატით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს +0.5°C-დან +25°C-მდე. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 469-1016 მმ-ს და მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის გაზაფხულზე (აპრილი, მაისი), მინიმალური ზამთარში.																		
3	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																		
3.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის დერძიდან -																		
3.2	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან -																		
3.3	დამატებითი მონაცემები -																		
4	სატყეო რესურსები																		
4.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში - არ ფიქსირდება.																		
4.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური - არ ფიქსირდება.																		

5	წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
5.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) ჰიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ფოროვანი, ნაპრაღური და ნაპრაღურ-კარსტული წყლების ალაზნის არტეზიული აუზი.
5.2	წყალშემცველი პორიზონტი – წყალშემცველ პორიზონტს წარმოადგენს ალაზნის სერია, რომელიც ვრცელდება 550 მ-ის სიღრმემდე. მასში გამოიყოფა ორი – გურჯაანის (ქვედა) და თელავის (ზედა) წყალშემცველი პორიზონტები. თელავის წყალშემცველი პორიზონტი 65 მეტრის სიღრმემდე წარმოდგენილია ორი წყალშემცველი ფენით 3.0-9.3 მეტრის და 62-63 მეტრის სიღრმეებზე. მათგან პირველი ფენა წარმოდგენილია ქვიშის შემავსებლიანი კაჭარ-კენჭნარით, მეორე - წერილმარცვლოვანი ქვიშებით და კარგად დამუშავებული მცირე ზომის ქვარგვალებით. გურჯაანის წყალშემცველი პორიზონტი განლაგებულია 120-500 მ სიღრმეზე, აგებულია 80 მ-მდე სიმძლავრის ქვიშის შემავსებლიანი ხრეშოვანი ნალექებით, შეიცავს 9-მდე წყლოვან შრეს, რომელთა სისქე იცვლება 1-დან 60 მ-მდე. გურჯაანის პორიზონტი, თითქმის ყველგან, დაფარულია თელავის პორიზონტით.
5.3	ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი) – ჭაბურღილის საგარაუდო სიღრმეა 150 მ.
6	მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება
6.1	ქიმიური შედგენილობა – ქიმიური შედგენილობით პირველი ფენის წყლები ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან-კალციუმიანია, საერთო მინერალიზაციით 1.4 გ/ლ, საერთო სიხისტე 4.1 მგ/ეკვ, სიხისტე კარბონატულია. მეორე ფენის წყლები ქიმიური შედგენილობით ჰიდროკარბონატული ან ჰიდროკარბონატულ-სულფატური კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა, დაბალი მინერალიზაციით 0.6-1.3 გ/ლ-მდე და საერთო სიხისტით 1.6-6.5 მგ/ეკვ.
6.2	სანიტარიული მდგომარეობა – პორიზონტის წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
6.3	ტემპერატურა – 12-13°C
6.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლები შესწავლილია პროგნოზული საექსპლუატაციო მარაგების შეფასების სტადიაზე.
6.5	წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი – 1972 წლის 5 ივლისს (ოქმი №6591) დამტკიცებული იქნა ალაზნის არტეზიული აუზის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიწისქვეშა წყლების მარაგები A + B + C₂ კატეგორიით, სადაც A კატეგორიისთვის მიკუთვნებულია თვითმდენი ჭაბურღილების დებიტები, B კატეგორიისთვის მარაგები, რომელიც განსაზღვრულია იგივე ჭაბურღილების ფაქტიური დებიტების ორმაგი ექსტრაპოლაციით, ხოლო C₂ კატეგორიისთვის დანარჩენი მარაგები, ადრე დამტკიცებული ლაგოდების უბნის გამოკლებით. სალიცენზიო ჭაბურღილი არაა თვითმდენი, ამიტომ მისი საექსპლუატაციო მარაგი 146000 მ ³ /წელიწადში რაოდენობის წყალი წარმოდგენილია C₂ კატეგორიით.
6.6	მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო) – წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.
6.7	სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის –
6.8	დამატებითი მონაცემები –
7	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება

7.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, მდ. ჭერმისხევის მარცხენა მხარეს.
7.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
7.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია – სტაბილურია.
7.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები – მოსალოდნელი არ არის.
7.5	გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – არ საჭიროებს.
7.6	დასკვნები და რეკომენდაციები – <ol style="list-style-type: none"> 1. სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ველისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. ჭაბურღილი საჭიროებს თავმორთულობის მოწესრიგებას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას; 4. ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლები აკმაყოფილებს სასმელი წყლის მოთხოვნებს და მომავალში შესაძლებელია მათი სასმელ-სამეურნეო და სამრეწველო ჩამოსხმის მიზნებისათვის გამოყენება, “წყლის შესახებ” საქართველოს კანონის 53-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის №136 დადგენილების მიხედვით ლიცენზიის ვადას განსაზღვრავს ლიცენზიის გამცემი ორგანო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლებზე სამეწარმეო დანიშნულებით ლიცენზიის გაცემის მაქსიმალურ ვადად მიგვაჩნია 5 წელი; 5. მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტიდან (ჭაბურღილი) წყლის მოპოვება დასაშვებია.
8	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
8.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – ს. ზედგინიძე, გ. სანებლიძე, დ. ფანჯარაძე, ვ. დარციმელია.
8.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 1971წ., 1972წ.
8.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 13317, ოქმი №6591

შემსრულებლები:

ს. მკალავიშვილი, ნ. ჩომახიძე, ა. ქემოკლიძე, ლ. ოკუჯავა, გ. ხაჭაპურიძე, ქ. ბაკაშვილი

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი

